პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ბამოცემის მე-12 წელი

№ 104 (1014) | ოთხშაბათი, 26 დეკემბერი, 1956 წ. | ფასი 30 კაპ.



შესაძლებლობა არის, საქმეს შევუდგეთ

ყველასათვის ცნობილია თუ რა მაღალი შეფასება მისცეს კორტინა დამპეცოში ბაკურიანელი კობა წაქაძის ნახტომს გიგანტურ ტრამპლინიდან. „განუმეორებელია, შესანიშნავია!“ — გაიძახოდნენ საზღვარგარეთის გამოჩენილი მწვრთნელები. მარტო კობა წაქაძე როდი აღიზარდა ბაკურიანში: ჯერ კიდევ 1941 წელს სპორტის ოსტატის ნორმა ჩაბარა ლ. ფანჯაკიძემ, 1947 წელს სწრაფდაშვებაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი მოიპოვა ვ. გავამ, სოფლის ახალგაზრდობის საკავშირო შეჯიბრებებში სხვადასხვა დროს გამარჯვებულის სახელი მოუპოვებიათ პ. კოზანაშვილსა და პ. გავას.

ბაკურიანი — ჩვენს დიად სამშობლოში სახელგანთქმული სათხილამურო ბაზა სამთომთხილამურეთა კერად გადაიქცა. რაც დრო გადის, უფრო კეთილმოწყობილი ხდება იგი — აიგო ტრამპლინები, გაიკვალა სლალომის, სწრაფდაშვების ტრასები, ბაკურიანის თვალწარმტაც მიდამოებში ყოველწლიურად იმართება საინტერესო და დაძაბული შეჯიბრებები.

სათხილამურო სპორტი, რასაკვირველია, ყურადღების ცენტრშია, მაგრამ ჩვენ გვინდა განსაკუთრებით ხაზი გავუსვათ სამთოსათხილამურო სპორტს, მისი განვითარების აუცილებლობას. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, რესპუბლიკის სპორტსმენები მიტ მიდრეკილებას იჩენენ ტრამპლინიდან ხტომის, სლალომის, სწრაფდაშვებისა და სამთო ორჭიდისაკენ. ამიტომ ჩვენ მოვალენი ვართ ახალგაზრდების ეს გატაცება წავახალისოთ, გასაჭანი მივცეთ და ნაყოფსაც კარგს მივიღებთ — გამრავლდება ისეთი სპორტსმენების რიცხვი, როგორიც არიან კ. წაქაძე, პ. გავა და სხ-ბი.

რა მდგომარეობაა სამთოსათხილამურო სპორტის განვითარების, მისი მასობრიობის მხრივ საქართველოში? პირდაპირ უნდა ითქვას, რომ არადამაკმაყოფილებელი. მისახალმებელია ის ამბავი, რომ ბაკურიანში აღიზარდნენ და იზრდებიან მაღალკვალიფიციური სპორტსმენები, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ისინი თითზე ჩამოსათვლელები არიან. ასეთ მდგომარეობას ადგილი არ ექნებოდა, რომ ჩვენ სპორტის ამ სახეობაში მასობრიობისათვის მიგვეღწია, რომ სათხილამურო ბაზები ბაკურიანის გარდა რესპუბლიკის სხვა თოვლიან რაიონებშიც გვქონდეს, რომ ადრევე გვეზრუნა კვალიფიციური მწვრთნელების მომზადებაზე. მაშინ აჭარაში, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, მესტიის, ყაზბეგის, თიანეთის, ონისა და რესპუბლიკის სხვა თოვლიან რაიონებშიც აღიზრდებოდნენ ისეთი მაღალი თანრიგის სპორტსმენები, რომლებიც თავიანთი შედეგებით რესპუბლიკას ახახელებდნენ საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე.

ყოველ წელიწადს არის ლაპარაკი თბილისის სათხილამურო ბაზის მოწყობაზე. ლაპარაკი იყო კოჯრის, ახლა კი წყნეთის მიდამოებში სამთოსათხილამურო ბაზის აგებაზე, მაგრამ ლაპარაკით საქმე როდის გაკეთებულა. ერთხელ და სამუდამოდ ზომ უნდა გადაწყვეტს დედაქალაქისათვის სამთოსათხილამურო ბაზის მშენებლობის საკითხი. სათხილამურო, და კერძოდ სამთოსათხილამურო სპორტის განვითარებას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ „სპარტაკი“, „ლოკომოტივი“, „პიშჩევიკი“, „შრომითი რეზერვები“. ამასთან შესამჩნევად შეასუსტა მუშაობა სათხილამურო სპორტში „დინამომაც“. საქმისადმი სწორედ ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგი იყო ის, რომ ჩვენი გუნდი 1955 წლის საკავშირო პირველობაზე მე-12 ადგილზე გამოვიდა, ხოლო საზოგადოება „კოლმეურნე“, რომელმაც 100.000 მანეთამდე დახარჯა გუნდის მომზადებაზე, სამარცხვინოდ ჩავარდა შეჯიბრებაზე.

სამთოსათხილამურო სპორტმა რომ თავისი ადგილი დაიკავოს სპორტის ძირითად სახეობათა შორის, საჭიროა კოლმეურნეობებში, სამეურნეობებში, სკოლებში ჩამოვაყალიბოთ სექციები, ჩავატაროთ შეჯიბრებები სლალომში, სწრაფდაშვებაში, ტრამპლინიდან ხტომაში, ორჭიდში, ავაგოთ მცირე ტრამპლინები, გავწმინდოთ და შევარჩიოთ ტრასები.

სამთოსათხილამურო სპორტის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ „კოლმეურნემ“ და „ბურევესტნიკმა“. მათ 1957 წლის კალენდარში უნდა გაითვალისწინონ სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობანი და შეჯიბრებები სპორტის ამ მიმზიდველ სახეობაში. სამთოსათხილამურო, და საერთოდ სათხილამურო სპორტის განვითარებაში. ყველაზე დიდი წვლილი უნდა შეიტანოს „კოლმეურნემ“. ეს საზოგადოება მოწოდებულია დანერგოს სამთოსათხილამურო სპორტი რესპუბლიკის თოვლიან რაიონებში (მესტია, ხულო, ქედა, ონი, დუშეთი და სხვ.). როგორც ცნობილი გახდა, სოფლის სპორტსმენების მომდინარე წლის რესპუბლიკურ პირველობაში მონაწილეობას მიიღებს ყაზბეგის რაიონი. ეს მისასალმებელია. მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ ყაზბეგის რაიონში, სადაც დიდი შესაძლებლობაა სპორტის ამ სახეობის განვითარებისათვის, ჩამოყალიბდეს მოთხილამურეთა ძლიერი სექციები, მოეწყოს შეჯიბრებები და სხვ.

ბაკურიანი უკვე აივსო სპორტსმენებით. თოვლზე გაიკვალა პირველი ბილიკები, მალე დაიწყება შეჯიბრებები. რესპუბლიკის გუნდი წელს, გარდა იმისა, რომ მონაწილეობას მიიღებს საკავშირო შეჯიბრებაში, ამხანაგურ მატჩში შეხვდება მოძმე უკრაინის მოთხილამურეებს. რესპუბლიკის მწვრთნელების უპირველესი მოვალეობაა მტკიცე, შეგნებული დისციპლინა დაამყარონ მოთხილამურეთა შორის, გაზარდონ მომთხოვნელობა, დატვირთვა. რესპუბლიკაში სათხილამურო სპორტის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს სათანადო ინვენტარის უქონლობა. ცეკავშირმა დღემდე რესპუბლიკაში მხოლოდ 1.000 წყვილი თხილამური შემოზიდა, რაც არ კმარა.

სათხილამურო სპორტის განვითარების შესახებ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მიიღო სათანადო დადგენილება.

ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები მოწოდებულნი არიან ცხოვრებაში გაატარონ იგი, ხელი შეუწყონ ჩვენს რესპუბლიკაში სათხილამურო სპორტის ფართოდ დანერგვას, მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადებას.

ჰირველი საერთაშორისო

ყოველწლიურად ფართოვდება საბჭოთა და საზღვარგარეთელ წყალბურთელთა კავშირი. მოსკოვის საწყლოსნო აუზებში საერთაშორისო შეხვედრები გამართეს უნგრეთის, იუგოსლავიის, რუმინეთის, იტალიის, ეგვიპტის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წყალბურთელებმა. წელს საბჭოთა კავშირის წყალბურთელთა ნაკრები გუნდი იყო იტალიასა და იუგოსლავიაში.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში რამდენიმე შეხვედრა გამართეს ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის წყალბურთელებმა. ეს იყო საბჭოთა წყალბურთელების პირველი საერთაშორისო მატჩები.

პირველ მატჩში საბჭოთა სტუდენტები შეხვდნენ ბერლინის სპორტული კლუბის „მოტორის“ წყალბურთელებს და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 7:5. ბერლინში გამართული შეხვედრების შემდეგ საბჭოთა გუნდი ვაემგზავრა ლაიპციგში წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად. საბჭოთა წყალბურთელებმა დაამარცხეს ლაიპციგის „როტაციონი“ — 7:2, ჰალესა და ლაიპციგის ფიზკულტურის ინსტიტუტების ნაკრები გუნდი — 8:4, ხოლო ფრედ—6:6 დაამთავრეს მატჩი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონთან მაგდებურგის „სტროიტელთან“ და გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი შეფარდებით ტურნირში პირველი ადგილი დაიკავეს.

სურათზე: ხელბურთის თამაშის ერთი მომენტი. ანგარიში მატჩის შესახებ იხ. მე-3 გვ.

1960 წლის ოლიმპიადისათვის

სპორტის მოყვარულები ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულან მელბურნში ახლახან დამთავრებული ოლიმპიური თამაშების შთაბეჭდილებებისაგან, სპორტის მესვეურები კი უკვე მომავალი ოლიმპიადის ჩატარებაზე ზრუნავენ. როგორც მილანის „გაზეტა დელო სპორტი“ იუწყება, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მოიწონა არქიტექტორ უილიამ ვორლეტის პროექტი კომპლექსური სპორტული ნაგებობისათვის, რომელიც აიგება სკვოს დაბლობში (კალიფორნია), სადაც გათვალისწინებულია 1960 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარება.

პროექტის მიხედვით სკვოში აიგება უზარმაზარი „ყინულის სტადიონი“, რომელიც 40 ათას მაყურებელს დაიტევს. აშენდება სახლები სპორტსმენებისა და მწვრთნელებისათვის, აგრეთვე პრესისა და რადიოს წარმომადგენლებისათვის. მათში მოთავსდება 1200 სპორტსმენი, 250 მწვრთნელი და მომსახურე პერსონალი, 1200 ჟურნალისტი. სტადიონის ტელეფონ-ტელეგრაფის სადგური ისე მოეწყობა, რომ ერთდროულად 500 ჟურნალისტი დაუკავშირდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანას.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

20-24 დეკემბერს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

1. ამხ. ნ. კ. ბაიბაკოვისა და ამხ. მ. ზ. ხაბუროვის მოხსენებანი მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შედეგების სამუშაოთა დამთავრების შესახებ და 1956-1960 წლების საკონტროლო ციფრებისა და 1957 წლის სახალხო სამეურნეო გეგმის დაზუსტებათა მიმართულების შესახებ.

2. ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხთა შესახებ.

პლენუმმა განხილული საკითხების გამო მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

ამხ. დ. ტ. შეპილოვის სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნასთან დაკავშირებით პლენუმმა გაათავისუფლა ამხ. შეპილოვი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან.

„ოლიმპიური მაჯარებლები“

19 დეკემბერს მოსკოვიდან ვლადივოსტოკს გაემართა სპეციალური მატარებელი XVI საერთაშორისო ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე საბჭოთა სპორტსმენებისათვის, რომლებიც ამ თვის ბოლოსათვის ვლადივოსტოკში ჩამოვლენ თბომავალ „ვრუზიათი“.

დედაქალაქის რკინიგზელებმა დიდი მუშაობა გასწიეს ამისათვის, რომ სახელოვანმა საბჭოთა სპორტსმენებმა მოხერხებულად კულტურულად იმგზავრონ მოსკოვამდე. ვაგონებში სანიმუშო სისუფთავე, სითბო და მყუდროებაა. კუპეები მორთულია ხალიჩებით. მაგიდებზე ძვირფასი საფენებია. მგზავრობის პერიოდში მატარებლის რადიოკვანძი სპორტსმენებს მოასმენინებს მაგნიტოფონზე ჩაწერილ მრავალ მუსიკალურ ნაწარმოებს.

21 დეკემბერს მოსკოვიდან ვლადივოსტოკს გაემართა მეორე „ოლიმპიური მატარებელი“.

მეგობრობის მაჯჩი

ლენინგრადის სპორტულ ბაზებზე რამდენიმე დღეს გრძელდებოდა მეგობრობის ტრადიციული მატჩი ესტონეთისა და ლენინგრადის სპორტსმენებს შორის.

მძლეოსნობასა და ფეხბურთში გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა. ხოლო კალათბურთსა და კლასიკურ ჭიდაობაში — ესტონელებმა. საერთო პირველი ადგილის ბედი გადაწყვიტა მოკრივეთა შეჯიბრებამ, რომელიც ანგარიშით 17:13 მოიგეს მასპინძლებმა.



ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 1957 წლის პირველ იანვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწინავე კოლექტივი

ბათუმის საზღვაო სასწავლებელმა ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე ადგილი დაიკავა

ხურათებზე: ჭიდაობის სექცია მეცადინეობის დროს. „ბატუმსკი რაბოჩის" ჯილდოზე გამარჯვებული გუნდი. ინსტრუქტორი ვ. ანთიძე (შუაში) დავალებას აძლევს საბჭოს წევრებს.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

კიდევ უფრო გაიზრდება ჩვენი სპორტული ბაზა

ჩვენს სასწავლებელში მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის ფართოდ გაშლაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კომკავშირულმა ორგანიზაციამ. ამ საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მის სამუშაო გეგმაში და, უნდა ითქვას, იგი ყოველთვის დროულად სრულდება. კომიტეტის სხდომაზე ხშირად ვიხილავთ როგორც ძირეული კოლექტივის მუშაობის, ისე ცალკეული სპორტსმენების, ჯგუფების, სექციების საქმიანობას, სპორტული ბაზების მდგომარეობას. საჭიროების შემთხვევაში საკითხს კომკავშირელთა საერთო კრების მსჯელობის საგნად ვხდით.

სასწავლებლის სპორტული ბაზები ვერ აკმაყოფილებდა ფიზკულტურელთა გაზრდილ მოთხოვნებს. ორგანიზაციამ ფიზკულტურის საბჭოსთან ერთად გადაწყვიტა საკუთარი ძალებით მოეწყო ახალი სპორტული ბაზები. კომკავშირის წამოწყებას მხარი დაუჭირა დირექციამ, გამოვძებნეთ ადგილი და მუშაობას შევუდექით. სასწავლებლის ეზოში უკვე შემოვზიდეთ 300 მანქანა ხრეში, მოკლე ხანში მოვასწორებთ ნიადაგს და გაზაფხულის თბილი დღეების დადგომისთანავე ჩვენი ფიზკულტურელები მიიღებენ კალათბურთისა და ფრენბურთის 2-2 მოედანს, ჩოგბურთის კორტს, სარბენ ბილიკსა და მძლეოსნობის სექტორებს.

ამას გარდა თვალისჩინივით ვუფრთხილდებით სპორტულ ინვენტარს, საკუთარი ძალებით ვარემონტებთ. კომკავშირელები აქტიურად მონაწილეობენ ბაზებზე წესრიგისა და სისუფთავის დაცვაში.

კომკავშირელები და ფიზკულტურელები წარმატებით ვემზადებით ახალგაზრდობის ფესტივალში მონაწილეობისათვის.

ა. ფარშაკოვი,
კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

მათი მიზანი

შავი ზღვის პირას, ლენინის სახელობის პიონერთა პარკის მახლობლად აღმართულია ლამაზი სამსართულიანი შენობა, რომლის შესავალს ამშვენებს წარწერა „ბათუმის საზღვაო სასწავლებელი". წარწერა, რა თქმა უნდა, არაფერს ლაპარაკობს აქაური ფიზკულტურელთა საქმიანობის შესახებ, მაგრამ ხეივნებითა და გაზონებით დამშვენებულ კოხტა ეზოში კარგად მოწყობილი კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, ტანვარჯიშული ბაქანი და სხვა სპორტული ინვენტარი ნათლად გვარწმუნებენ, რომ აქ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ჩქეფს.

სამეცადინო საათები დამთავრებული იყო, როცა ფიზკულტურის ინსტრუქტორ ა. ანთიძესთან ერთად სასწავლებლის ეზოში შევედი. ახალგაზრდები კალათბურთს თამაშობდნენ. თანატოლთა შორის ერთი მსაჯობდა. იგი ხშირად აჩერებდა თამაშს, უსწორებდა მოძრაობებს, ასწავლიდა ბურთის ტარების ტექნიკას, გდებას...

ერთ-ერთ შენობას როცა გვერდით ჩავუარეთ, შტანგის ხმაური მომესმა. ინსტრუქტორმა ალბათ სახეზე ამოიკითხა ჩემი ცნობისმოყვარეობა. გაიღიმა და ღია კარებში შემიძღვა. უზარმაზარი დარბაზის ცენტრში რამდენიმე ახალგაზრდას ფიცარნაგი მიეცურებინა და ძალოსნობაში ვარჯიშობდნენ პირველთანრიგოსან ვ. ამპილოგოვის ხელმძღვანელობით. სწორედ ამ გუნდმა, რომელიც იმ დღეს წვრთნაზე ვნახეთ, მეორე ადგილი მოიპოვა ბათუმის საქალაქო სპარტაკიადაზე.

მომავალი ბაზების მშენებლობის ადგილი დავათვალიერეთ სასწავლებლის ეზოში და მთავარ კორპუსში შესვლას ვაპირებდით. გვერდით თვრამეტამდე ახალგაზრდამ ჩაგვირბინა, მძლეოსნები მეგონა. მაგრამ შევამჩნიე, რომ ყველამ ფრენბურთის მოედანზე მოიყარა თავი, ორად გაიყვნენ და ბურთი ჰაერში ავარდა.

ასეა ყოველ დღე ბათუმის საზღვაო სასწავლებელში. რეგულარულად მუშაობენ მძლეოსნობის, ტანვარჯიშის, აკრობატიკის, ჭიდაობის, კროსის, ნიჩბოსნობისა და სხვა სექციები, რომლებშიც 263 მოსწავლეა გაერთიანებული.

კლასიკურ მოჭიდავეებს ძლიერი სპორტსმენები ჰყავთ. მაგალითად, საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის პირველთანრიგოსანი შ. იოსელიანი. იგი აჭარის ჩემპიონიცაა ქართულ ჭიდაობაში. მისი ძმა პირველთანრიგოსანი უ. იოსელიანი ბათუმის ჩემპიონია. თანრიგოსნებს შ. ხინიკაძეს, კ. პოლიენკოსა და სხვებს აქ იცნობენ, როგორც საუკეთესო ტექნიკის მქონე სპორტსმენს.

მაგრამ მარტო მოჭიდავეებით როდი ამაყობენ აქ. სასწავლებლის უძლიერეს სპორტსმენთა შორის არიან ბათუმისა და აჭარის ჩემპიონები, მძლეოსნები ა. კატიბა, ი. ფილიევი, კ. ბორისენკო. მოცურავეები მ. ჯოჯუა, ი. ერისხინი, ძალოსანი ა. ვლადიმეროვი და სხვ. სასწავლებლის შენობაში შევედით. პლაკატებით, ტრანსპარანტებით, კედლის გაზეთებით, ალბომებით და სურათებით შესანიშნავად მორთულ პირველი სართულის დერეფანში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა მხარემ. ამდენი ვიმპელი, დიპლომი და სიგელი იშვიათად გვინახავს ძირეულ კოლექტივში. ისინი მთელ კედელზე, ჭერიდან იატაკამდე იყო გაკრული. ვიფიქრე, სასწავლებლის არსებობის 12 წლის განმავლობაში რაც ჯილდო მიუღიათ, ყველაფერი აქ გამოუკრავთ მეთქი, მაგრამ შევცდი. მეორე და მესამე სართულის დერეფნებშიც საკმაო რაოდენობით იყო გამოკრული სიგელები.

— ისინი მოსწავლეთა მონაპოვარია, და მათთან თყოს. ყოველდღე ნახონ. ეს კიდევ აღაგზნებს ახალგაზრდებს, დარაზმავს, შეამჭიდროვებს მათ რიგებს შემდგომი გამარჯვებისათვის. — გვითხრა სასწავლებლის უფროსმა ი. ოგანეზოვმა.

აი დერეფნის ერთ კუთხეში მრავალ ახალგაზრდას მოუყრია თავი. ისინი სპორტული კედლის გაზეთის „ვოდნიკის" ახალ ნომერს კითხულობდნენ. ლამაზად გაფორმებული, შინაარსიანი კედლის გაზეთი ახალ ამბებს აცნობდა სპორტის მოყვარულებს.

ფიზკულტურელთა მაჩვენებლების ზრდას ხელი შეუწყო შიდასაკოლექტივო შეჯიბრების ხშირად ჩატარებამ. სასწავლებლის ფიზკულტურელებმა მიმდინარე წელს საქალაქო სპორტულ ღონისძიებებში 35-ჯერ მიიღეს მონაწილეობა და ყოველთვის საპრიზო ადგილებს იკავებდნენ.

ბათუმის საქალაქო სპარტაკიადაზე, რომელიც 9 სახეობაში ჩატარდა, სასწავლებლის ბევრმა სპორტსმენმა მიაღწია წარმატებას. გუნდმა კი საერთო მესამე ადგილი დაიკავა. აქაური ნიჩბოსნები ქალაქის არაერთგზის ჩემპიონები არიან.

აჭარის საოლქო გაზეთ „ბატუმსკი რაბოჩის" გარდამავალ თასზე მიმდინარე წლის გაზაფხულზე მეექვსედ მოეწყო ამანათრბენი 10×1.000 მეტრზე. რედაქციის წინ მოწყობილი სტარტიდანვე დაწინაურდნენ საზღვაო სასწავლებლისა და პედინსტიტუტის წარმომადგენლები. ფინიშთან კი ამანათი პირველად საზღვაო სასწავლებლის წარმომადგენლებმა 29 წუთსა და 31,3 წამში მიიტანეს და 0,2 გააუმჯობესეს გასული წლის რეკორდი, რომელიც მათვე ეკუთვნოდათ. ეს მათი მეექვსე გამარჯვება იყო ამ ამანათრბენში. აღსანიშნავია ისიც, რომ ბათუმელი ზღვაოსნები ზედიზედ იმარჯვებდნენ საზღვაო სასწავლებლების საკავშირო სპარტაკიადაში.

სასწავლებელში ჩქეფს სისხლსავსე, ენერგიული ფიზკულტურული ცხოვრება. იგი ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ზრდას, მათ შორის მეგობრობის განმტკიცებას. სასწავლებელში 500-მდე ახალგაზრდაა ჩამოსული ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს თითქმის ყველა კუთხიდან. აქ არიან მოსწავლეები სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან და შორეულ კამჩატკიდანაც კი. მათ ერთი მიზანი აქვთ — დაეუფლონ ცოდნას და გან[illegible] ჩვენი სამშობლოს ღირსეული შვილები.

როცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ძირეულ კოლექტივებს შორის გაშლილი სოცშეჯიბრის შედეგები შეაჯამეს, ბათუმის საზღვაო სასწავლებლის კოლექტივს მესამე საპრიზო ადგილი მიაკუთვნეს.

— ჩვენი მიზანია, — თქვა ანთიძემ, — მიმდინარე წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში შევინარჩუნოთ მოპოვებული წარმატება და ვიბრძოლოთ უკეთესი შედეგებისათვის, უკეთესი ადგილისათვის.

ლ. გელაშვილი



საბჭო მუშაობს

სასწავლებლებში ფიზკულტურის საქმიანობას ხელმძღვანელობს ძირეული საბჭო, რომლის სამუშაო გეგმაში, რომელიც კვარტალურად დგება, გათვალისწინებულია სარედაქციო კოლეგიის, სექციების, ჯგუფორგების მუშაობის, ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების, ბაზების მდგომარეობისა და სხვა საკითხები. საბჭო მიმდინარე საკითხების შესასწავლად და განსახილველად ყოველ ათ დღეში ერთხელ იკრიბება.

მაგრამ იგი მარტო მასობრივ-ფიზკულტურული საქმიანობით როდია დაინტერესებული, აქტიურად ეხმარება დირექციას ფიზკულტურელთა აკადემიური მოსწრების ზრდაში. ჯგუფორგებს დავალებული აქვთ ყოველ შაბათს საბჭოს მოახსენონ ფიზკულტურელთა აკადემიური მოსწრების მდგომარეობა. თუ ფიზკულტურელი ვერ ასწრებს, მას სექციის მეცადინეობაზე არ ვუშვებთ.

ამ ღონისძიებამ დადებითი შედეგი გამოიღო. ფილიევმა, რომელიც საკმაოდ ცნობილი სპორტსმენია რესპუბლიკაში, სპეციალურ საგანში არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო. საბჭომ ნიშნის გამოსწორებამდე აუკრძალა წვრთნა. ასევე დაემართათ პირველთანრიგოსნებს ძალოსანს გ. ბარაბაძეს, მოცურავეს ვ. მონოლენკოსა და სხვებს. ახლა ისინი საუკეთესო სპორტსმენები და მოსწავლენი არიან.

როცა ბათუმის „დინამოს" სტადიონის რეკონსტრუქცია დაიწყო, ძირეულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება აქტიური მონაწილეობა მიეღო სამუშაოებში. მალე სიტყვა საქმედ იქცა. სასწავლებელმა თავისი წვლილი შეიტანა ქალაქის სტადიონის მშენებლობაში.

საბჭოს გადაწყვეტილი აქვს ახალი წლიდან კიდევ უფრო ქმედითად იმუშაოს მოპოვებულ წარმატებათა შენარჩუნებისათვის.

ა. ანთიძე,
ფიზკულტურის ინსტრუქტორი.

კოლექტიური ორგანიზატორები

— ჩვენი აგიტატორი — ასე ვუწოდებთ სასწავლებლის ფიზკულტურელები სპორტულ კედლის გაზეთს „ვოდნიკს", რომელიც კარგად გაფორმებული და შინაარსიანი გამოდის. მის ფურცლებზე ლაპარაკია როგორც წარმატებებზე, ისე ნაკლოვანებებზე, იქვეა ნაჩვენები მათი დაძლევის გზები. გაზეთში ხშირია მეგობრული შარჟები, კარიკატურები. იგი დიდ დახმარებას გვიწევს სასწავლებლის ფიზკულტურელთა დარაზმვაში.

ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენი რადიოკვანძიც. ხშირად ეწყობა გადაცემები სპორტულ თემაზე, სასწავლებლის ფიზკულტურელთა საქმიანობაზე. შიდასაკოლექტივო სპარტაკიადის დღეებში კი ღონისძიებათა ნამდვილი ორგანიზატორი იყო. იგი ყველას დროულად აცნობდა შეჯიბრების დაწყების ვადებს. ასპარეზობის დამთავრების შემდეგ კი მოუთხრობდა მის შედეგებზე.

ვ. ჯანელიძე,
ძირეული საბჭოს წევრი.

ᲓᲐᲕᲜᲔᲠᲒᲝᲗ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐ

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ

მიმდინარე წლის სექტემბერში მოსკოვში მოეწყო პირველი (1928 წლის შემდეგ) საერთაშორისო შეხვედრა ხელბურთში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ვაჟთა და ქალთა გუნდებს შორის. ჩვენმა სპორტსმენებმა ეს შეხვედრები წააგეს, მაგრამ სტუმრებმა მაღალი შეფასება მისცეს ცალკეულ მოთამაშეებსა და დიდი სპორტული მომავალი აღუთქვეს მათ.

ხელბურთი ჩვენს ქვეყანაში შეიძლება ჩაითვალოს სპორტის ახალ სახეობად. უკრაინის გარდა მას სისტემატურად არც ერთ რესპუბლიკაში არ მისდევდნენ, მაგრამ ვინაიდან ხელბურთი სულ უფროდაუფრო დიდ გავრცელებას პოულობს უცხოეთში, სადაც ომართება საერთაშორისო ტურნირები და ჩემპიონატები, საჭიროა ჩვენს ქვეყანაშიც სათანადოდ გავრცელდეს იგი და საბჭოთა სპორტსმენებმა თავიანთი სიტყვა თქვან სპორტის ამ სახეობაში.

არ შეიძლება ითქვას, რომ ხელბურთი ჩვენთვის სრულიად ახალ სახეობას წარმოადგენდეს. მას ჩვენში უწინაც თამაშობდნენ, მაგრამ იგი რატომღაც დავიწყებას მიეცა და სპორტული კალენდრიდან ამოვარდა. გასულ წელს რიგაში მოეწყო საკავშირო მასშტაბის პირველი ომისშემდგომი შეჯიბრება. აქ ქალთა შორის გაიმარჯვეს კიეველებმა, ხოლო ვაჟთა შორის — რიგელებმა. წელს ვილნიუსში ჩატარდა პირველი ოფიციალური საკავშირო ჩემპიონატი. პირველ ადგილებზე გამოვიდნენ კიევის ქალთა და მოსკოვის ოლქის ვაჟთა გუნდები.

ხელბურთმა დიდი განვითარება ჰპოვა საზღვარგარეთის ქვეყნებში — გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, რუმინეთში და სხვ.

ხელბურთის განვითარებისათვის დიდი უესაძლებლობებია ჩვენს რესპუბლიკაში. კარგი კლიმატური პირობები, ლელობურთის ტრადიციები, ახალგაზრდობის მისწრაფება სპორტთამაშებისადმი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თუ სერიოზულად და საქმიანად მოვკიდებთ ხელს ხელბურთს, სასურველ შედეგს აუცილებლად მივაღწევთ. ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტი ამჟამად დიდ ღონისძიებებს ატარებს სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციისათვის. მოსკოვიდან მოწვეული იქნა სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მწვრთნელი ვ. კუდრიავცევი, რომელმაც ჩაატარა სემინარი, ფიზკულტურის ინსტიტუტის ბაზაზე შექმნილ იქნა გუნდები, სპორტულმა საზოგადოებებმა დასახეს ღონისძიებები თავიანთ ძირეულ კოლექტივებში ხელბურთის სექციის ჩამოყალიბების შესახებ.

ყველასათვის ცნობილია თუ რა პოპულარობით სარგებლობს ჩვენი რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში ლელობურთი. სპორტის ამ ეროვნულ სახეობას განსაკუთრებით მისდევენ ჩოხატაურის, სამტრედიის, ქობულეთის რაიონებში და სწორედ ამ რაიონების ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ ხელბურთის ფართოდ კულტივირებისათვის. რასაკვირველია, ეს ლელობურთის დავიწყებას არ ნიშნავს. პირიქით, ლელობურთი კიდევ უფრო მასობრივი უნდა გახდეს, კიდევ უფრო უნდა გავრცელდეს და მის ბაზაზე ხდებოდეს საუკეთესო ხელბურთელთა ამორჩევა. ისევე, როგორც ქართული ჭიდაობა ჩვენში ჭიდაობის კლასიკური სახეობათა უშრეტ რეზერვად იქცა, ლელობურთსაც შეუძლია ხელბურთის საიმედო საფუძვლად იქცეს. გარდა ამისა, ჩინებულ დამხმარე სახეობებს წარმოადგენს ხელბურთისათვის კალათბურთი, მძლეოსნობა, ფეხბურთი და სხვ.

როგორც უკვე ზევით ვთქვით, რესპუბლიკურმა კომიტეტმა ჩაატარა მწვრთნელთა და მსაჯთა მოსამზადებელი სემინარი, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, სოხუმის, რუსთავის, ჩოხატაურის, ლიდა ჯიხაიშის, ჭიათურის წარმომადგენლები. მაგრამ არ შეიძლება გვერდი აუაროთ იმ ფაქტს, რომ სემინარზე მონაწილეობას ფაქტიურად ... ქუთაისის, ... წარმომადგენლებმა.

ისევეს სპორტსაზოგადოებებმა, როგორიცაა „დინამო“, „სპარტაკი“, „ბურევესტნიკი“, „პიშჩევიკი“, ამთავითვე უნდა იზრუნონ გუნდების შექმნისათვის, რათა ხელი შეუწყონ ამ სახეობის პოპულარიზაციას. თავიანთ სისტემაში შემავალ ორგანიზაციებში, სისტემატიურად აამაღლონ თავისი გუნდების თამაშის კლასი. განათლების სამინისტროს ორგანოებმა ყურადღება უნდა მიაქცონ ბავშვთა შორის ხელბურთის ფართოდ დანერგვას. ასეთივე ამოცანები დგას ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის კათედრებისა და ძირეული საბჭოების წინაშე.

ამჟამად ქართულ ენაზე ითარგმნება ხელბურთის თამაშის ტექნიკისა და ტაქტიკის მეთოდური სახელმძღვანელო, რომელიც უახლოეს ხანებში გამოიცემა. რესპუბლიკურ სპორტღონისძიებათა კალენდრით გათვალისწინებულია თბილისში ჩატარდეს რესპუბლიკური პირველობა (8–15 ივნისი), ხოლო 16 ივნისიდან 5 ივლისამდე დიდ ჯიხაიშში მოეწყობა საქართველოს ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდების სასწავლო-საწვრთნელი შეკრება, რის შემდეგ ეს გუნდები გაემგზავრებიან ქალაქ ვორონეჟში. აქ 10–20 ივლისს ჩატარდება სსრ კავშირის მეორე ჩემპიონატი ხელბურთში.

თუ სრული მონდომებითა და სიყვარულით მოვეკიდებით ხელბურთის დანერგვის საქმეს, ჩვენს რესპუბლიკას დიდი შესაძლებლობა აქვს იყოლიოს უძლიერესი გუნდები და მიიპოვოს მაღალი წარმატებები.

ვ. ჯაფარიძე

დასაწყისი კარგია

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

დასაწყისი საკმაოდ ნაცნობი გადგა, ყოველ შემთხვევაში ფეხბურთის მოყვარულისათვის ახალი ჯერჯერობით არაფერი იყო. მოედანზე პირველად გამოჩნდა მსაჯი ორი მოდგილით. შემდეგ პოპულარული ... ...

ივ მონტანი

მოსკოვში, ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში ყოველ საღამოს დედაქალაქის ათასობით მშრომელი აღფრთოვანებით უსმენს საფრანგეთის გამოჩენილ მომღერალს ივ მონტანს. ივ მონტანმა თავისი სითბოთი და სიყვარულით დაიპყრო მილიონობით უბრალო ადამიანების გული. იგი არის ნამდვილი მოქალაქე, მშვიდობისა და ბედნიერებისათვის მებრძოლი ადამიანი. აი რატომ უყვართ და სცემენ პატივს ივ მონტანს ყველგან. აი რატომ მიიღო იგი საბჭოთა ხალხმა ასე გულთბილად.

საინტერესო და ორიგინალურია მონტანი სცენაზე. აიხდება ფარდა და მაყურებელი ხედავს ახოვან, ბეჭებში ოდნავ მოხრილ, უგრიმოდ, გემოვნებით შერჩეულ უბრალო სპორტულ ყავისფერ ხალათში გამოწყობილ მსახიობს ივ მონტანს. იგი მღერის თავისუფლად, მსუბუქად, მოხდენილად. მისი ყოველი მოძრაობა მოკნილი, მეტყველი და სწრაფია. სიმღერის დროს იგი მოძრაობს, ხტუნავს, დარბის, აკეთებს მალაყებს. ეს ყველაფერი ისე ბუნებრივადაა გაკეთებული, რომ რწმუნდებით მის აუცილებელ საჭიროებაში, მაყურებელს სრულებითაც არ ეჩოთირება მომღერლის ასეთი „უცნაური იღეთები“.

ივ მონტანი ყოველდღიური ფიზიკური ვარჯიშის, დიდი ენერგიული მუშაობის შემდეგ აღწევს იმას, რომ სცენაზე იგი არასოდეს არ იღლება. თუ არა მის უდიდეს ფიზიკურ მონაცემებსა და სისტემატურ ვარჯიშს, სხვას რას უნდა მიეწეროს, რომ ერთი თვის განმავლობაში პარიზში „ეტუალის“ ხალხით სავსე დარბაზში ყოველდღიურად აძლევდა კონცერტებს.

თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „თავი მზითაა სავსე“, ივ მონტანი წერს: „ექვსი თვე განუწყვეტელი გამოსვლები — ეს არის, სხვასთან ერთად, მძიმე ფიზიკური გამოცდაც. ეს იმას ნიშნავს, რომ შესანიშნავად ფლობდე ნერვებს, სუნთქვას და კუნთებს. იმის შეგნება, რომ იმყოფები კარგ ფიზიკურ ფორმაში, მეტად აადვილებს გამოსვლას“.

საბჭოთა მაყურებლებისათვის კარგადაა ცნობილი ფრანგული კინოფილმი „კერპი“. აქ ივ მონტანი მოკრივის როლს თამაშობს, რომელიც სპორტულ საქმიანობის ხელში ვარდება. ფილმის გადაღებისას ივ მონტანი — ენერგიულად სწავლობდა „ტრენის ძველთას“, ვარჯიშობდა და იქნა სპორტულ ფორმას. ყველაფერი ეს საჭირო იყო იმისათვის, რათა ბუნებრივი და მართალი ყოფილიყო გმირი, რომელსაც იგი ანსახიერებდა.

1954 წელს პარიზში ერთ-ერთმა რადიოკომენტატორმა მოაწყო გადაცემა — „ვინ ხართ თქვენ, ივ მონტან!“. აქ კომენტატორი ცნობილ მომღერალს უმთავრესად ინტიმური ხასიათის კითხვებს აძლევდა.

ერთ-ერთი კითხვა ასეთი იყო:

— შეგიძლიათ თუ არა თქვენ გამოუვალი მდგომარეობიდან თავის დაღწევა?

— ასიდან ოთხმოცდა ხუთ შემთხვევაში! — იყო ივ მონტანის პასუხი.

ბ. ბორბაძე.

* * *

სურათზე: ივ მონტანი ახალულებს „გასეირნებას პარიზში“.
სურათი ამოღებულია
წიგნიდან „თავი მზითაა სავსე“.

ამოხსენით ახალ წლამდე

1883 წელს ვენაში ის იყო დამთავრდა დიდი საერთაშორისო საშადრაკო ტურნირი, როდესაც ავსტრიის სატახტო ქალაქში სტუმრად ჩავიდა ა. დადიანი. შეჯიბრების მომწყობმა მეცენატმა ბარონმა კოლინმა თავის ვილაში კალენბერგში ბანკეტი გაუმართა ტურნირის მონაწილეებს, რომელზეც მიიწვია აგრეთვე ა. დადიანი.

ოფიციალური ამბების დაწყების წინ ჭადრაკის მოყვარულებმა, რომლებიც იცნობდნენ ა. დადიანს, თხოვეს მას ექსპრომტად ჩაეტარებინა ერთდროული თამაშის სეანსი დაფაზე დაუზიდავად.

გაიშალა საშადრაკო დაფები. მეორე ოთახში ბუხართან ანდრიამ და ვენის ტურნირის რამდენიმე მონაწილემ მოიკალათეს. აგუზგუზებულ ცეცხლისპირას, რბილ სავარძლებში ისეთი მყუდროება შეიქმნა, რომ თამაშიც სასიამოვნო იყო. შიკრიკობა ერთ პატარა ბიჭუნას შეთავაზეს.

ის იყო თამაში უნდა დაწყებულიყო, როდესაც ერთმა მოყვარულმა დადიანს შემოუთვალა, რომ იგი როგორც სუსტი მოთამაშე ითხოვს ძალების გათანაბრების მიზნით წინ ეტლს. ანდრიამ იჯრძნო მუხანათობა, მაგრამ თავმოყვარეობამ ძლია და ღიმილით დათანხმდა ერთი პარტია უეტლოდ ეთამაშა.

დაიწყო თამაში. ოთახებში სიჩუმე ჩამოვარდა. დადიანს სახეზე გონების დაძაბული მუშაობა ემჩნეოდა. როდესაც მან ყველა პარტია, გარდ ერთისა, სწრაფად მოიგო, ოსტატები განცვიფრებული დარჩენილან. ამ ერთ პარტიაში, რომელშიც თამაში კვლავ გრძელდებოდა, დადიანს ეტლი აკლდა.

ამ პარტიაში ბრძოლა სულ უფრო მარტივდებოდა, ხოლო მოყვარული მატერიალურ უპირატესობას ინარჩუნებდა. ყველას აინტერესებდა შეძლებდა თუ არა დადიანი ამ პარტიაშიც გარდატეხის შეტანას. მაგრამ როდესაც დაფაზე ასეთი პოზიცია შეიქმნა:



ანდრია წამოდგა და თავის მეტოქეს შეუთვალა: — ახლა მე ისეთ სვლას გავაკეთებ, რომ თქვენ შამათი გექნებათ 6 სვლაში.

ოსტატებმა თხოვეს დადიანს არ შეეთვალა მომგებიანი სვლა, დაე თვითონ იწვალოს და ამოხსნას შემთხვევით შექმნილი საშადრაკო ამოცანა.

დადიანს მოეწონა ეს წინადადება. — ეძებოს დალოცვილმა, ჩვენ კი მგონი გაშლილი სუფრა გველოდება, — თქვა მან და მეგობრებს სადარბაზო ოთახში გაჰყვა.

* * *

ჩვენს მკითხველებს ვთხოვთ ახალწლამდე გამოგვიგზავნონ ამ პარტიის დაბოლოება. სწორ ამომხსნელთა კარები გამოქვეყნდება ჩვენი გაზეთის 1957 წლის 4 იანვრის ნომერში.

ორ სახეობაში

„შრომითი რეზერვების“ სპორტდარბაზში ჩატარდა რესპუბლიკური საბჭოს პირველობა კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლების ასმა სპორტსმენმა.

თავისუფალ ჭიდაობაში წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ა. კუჭაძე (რკინიგზის I სახელოსნო სასწავლებელი), შ. ჩოხელი (მე-5 სახელოსნო სასწავლებელი), კ. ქიტაიშვილი (ინდუსტრიალური ტექნიკუმი), ი. აბრამიძე (მე-6 სახელოსნო სასწავლებელი), ა. ალთუნაშვილი (რკინიგზის I სახელოსნო სასწავლებელი), ნ. ხუგაშვილი (მე-6 სახელოსნო სასწავლებელი), თ. გიგაური (რკინიგზის I სახელოსნო სასწავლებელი) და პ. გურუზოვი (მე-6 სახელოსნო სასწავლებელი).

კლასიკურ ჭიდაობაში პირველ ადგილებზე გამოვიდნენ ა. კუჭაძე, შ. ბარნაბიშვილი (რკინიგზის I სახელოსნო სასწავლებელი), ო. მაღალდაძე (მე-6 სახელოსნო სასწავლებელი), ა. ალთუნაშვილი, ნ. ხუგაშვილი, თ. გიგაური და ა. დოფიძე (რკინიგზის მე-2 სახელოსნო სასწავლებელი).

გამარჯვებულებს გადაეცათ სიგელები.

ბ. ბარბაქაძე,
სპორტის ოსტატი.

მსოფლიო პირველობა ფეხბურთში

ოლიმპიურ თამაშებზე სპორტის ბევრ სახეობაში, პარალელურად წარმოებს მსოფლიო პირველობის გათამაშება, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში ტარდება ცალკე. მსოფლიო ჩემპიონად ფეხბურთში ითვლება მხოლოდ ის გუნდი, რომელიც გაიმარჯვებს ოფიციალურ მსოფლიო პირველობაში, ვინაიდან ამ გათამაშებაში მონაწილეობენ როგორც პროფესიონალები, ისე მოყვარულები (ოლიმპიურ თამაშებზე, როგორც ცნობილია, მონაწილეობენ მხოლოდ მოყვარულები).

მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში ჩატარდება 1958 წელს, სადაც მონაწილეობას მიიღებენ უნგრეთის, ავსტრალიის, იტალიის, იუგოსლავიის, სამხრეთ ამერიკის ქვეყნებისა და სხვა სახელმწიფოთა უძლიერესი გუნდები. ამ შეჯიბრებაში პირველად მიიღებენ მონაწილეობას საბჭოთა ფეხბურთელები.

მსოფლიო ჩემპიონატის გათამაშება ფეხბურთში წარმოებს 1930 წლიდან. მოგვყავს დღემდე გათამაშებული ჩემპიონატების ცხრილი:

წელი	ჩატარების ადგილი	მონაწილეთა რაოდენობა	ჩემპიონი
1930	ურაგვაი	13	ურაგვაი
1934	იტალია	16	იტალია
1938	საფრანგეთი	15	იტალია
1950	ბრაზილია	13	ურაგვაი
1954	შვეიცარია	36	გერმანიის ფედ. რესპ.
1958	შვეცია	51	?

მსოფლიოს VI პირველობა ფეხბურთში ოფიციურად დაიწყო ა. წ. 30 სექტემბერს. ლუქსემბურგის გუნდმა თავის მინდორზე მიიღო ავსტრიელები. სტუმრებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 7:0. გათამაშების დაწყება ასე ადრე გამოწვეულია მონაწილეთა დიდი რაოდენობით, ვინაიდან დასკვნითი ტურნირისათვის ამ გუნდებიდან უნდა დარჩეს მხოლოდ 16. გათამაშების დებულების თანახმად ამ რიცხვში ავტომატურად ხვდება ორი გუნდი: მსოფლიო ჩემპიონი და თამაშების ორგანიზატორი. დანარჩენი 14 გუნდის გამოსარკვევად 1957 წლის დეკემბრამდე ჩატარდება შესარჩევი თამაშები 4 საკვალიფიკაციო ჯგუფში.

ევროპის ჯგუფი

1. ინგლისი, დანია, ირლანდია. 2. ბელგია, ისლანდია, საფრანგეთი. 3. ბულგარეთი, უნგრეთი, ნორვეგია. 4. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკია, უელსი. 5. ავსტრია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები. 6. პოლონეთი, სსრ კავშირი, ფინეთი. 7. საბერძნეთი, რუმინეთი, იუგოსლავია, 8. იტალია ჩრდილოეთ ირლანდია, პორტუგალია. 9. ესპანეთი, შვეიცარია, შოტლანდია.

სამხრეთ ამერიკის ჯგუფი

1. ბრაზილია, ვენესუელა, პერუ. 2. არგენტინა, ბოლივია, ჩილი. 3. კოლუმბია, პარაგვაი, ურაგვაი.

ამ ორი ქვეჯგუფიდან გამოვლინდება ფინალური ტურნირის 12 მონაწილე, ხოლო დანარჩენი ორი გუნდი გამოირკვევა სხვაგვარად. ჩრდილოეთი და შუა ამერიკის ქვეყნებიდან შექმნილია ორი ქვეჯგუფი. პირველი — კოსტარიკა, კიურასაო (კუნძულთა ჯგუფი), გვატემალა; მეორე — კანადა, მექსიკა, აშშ. ამ ქვეჯგუფებში პირველ ადგილებზე გამოსულებს ერთმანეთს შორის ექნებათ 2 მატჩი და გამარჯვებული გაემგზავრება შვეიცარიაში.

სპორტული ქრონიკა

გლდანში გაიმართა ახალგაზრდობის რესპუბლიკური ფესტივალსადმი მიძღვნილი სპორტული საღამო. დამსწრენი კმაყოფილი დარჩნენ სოფლის მოჭიდავეების საჩვენებელი გამოსვლებით.

ბ. გოგიძე

დიდუბის № 6 წისქვილ-ქარხანაში მოეწყო საწარმოს პირველობა ჭადრაკში. ჩემპიონის წოდება მოიპოვა ცვლის ელექტროტექნიკოსმა ი. კუჭავამ, მეორე ადგილზეა ელექტრო საამქროს უფროსი შ. ვაშაკიძე.

გ. ჯოხაძე

საქართველოს პირველობა

გათამაშების საბოლოო ცხრილი

I ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომოტ.“ თბ.	28	21	5	2	69:13	47
ტტს თბ.	28	18	6	4	89:21	42
„დინამო“ ქუთ	28	16	8	4	49:28	40
„დინამო“ ბათ.	28	14	9	5	53:29	37
„კოლმ.“ მახ.	28	14	6	8	59:44	34
„ბურევ.“ ფოთი	28	11	8	9	30:42	30
26 კომ. სახ. რ-ნი	28	10	9	9	41:51	29
„დინამო“ სოხ.	28	11	6	11	52:57	28
„დინამო“ გორი	28	8	9	11	32:39	25
„კოლმ.“ ქობ.	28	8	9	11	28:39	25
„ტორპ.“ ქუთ.	28	9	5	14	44:58	23
„მეტალ.“ რუსთ.	28	7	7	14	26:50	21
„დინამო“ I თბ.	28	7	6	15	31:56	20
„სპარტაკი“ სტ.	28	4	6	18	24:59	14
„სპარტაკი“ ახალქალაქი	28	0	2	26	10:40	2

ახ. ფეხ. სკ. გამოვიდა გათამაშებიდან

* * *

გათამაშების დებულების თანახმად უკანასკნელი 4 კოლექტივი 1957 წლის რესპუბლიკის პირველობაზე ითამაშებენ II ჯგუფში. I ჯგუფში კი გადაყვანილი არიან II ჯგუფის ზონებში გამარჯვებული გუნდები — ლანჩხუთის „კოლმეურნე“ და რუსთავის „ბურევესტნიკი“.

რედაქტორი ი. უგულავა

3

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დადმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლენინი“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ.-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-31, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი. ლენინის ქ. № 14. უე 07184